

## ხელშეკრულება N

ქ. თბილისი,

-- . -- 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „----“ (შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი დირექტორის ----- სახით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე განახორციელოს შემდეგი სახის მომსახურება: საქართველოს სტანდარტის შემუშავება; საქართველოს სტანდარტის ან მისი ცვლილების რეგისტრაცია; თავფურცლის თარგმნის მეთოდით საერთაშორისო, რეგიონალური და სხვა ქვეყნის სტანდარტების, ასევე სხვა ნორმატიული დოკუმენტების რეგისტრაცია საქართველოს სტანდარტად; საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო რეგიონალური, მათ შორის სახელმწიფოთაშორისი სტანდარტის, ასევე სხვა ქვეყნის სტანდარტის ან საქართველოს სტანდარტის მიწოდება.

### 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. **შემსრულებელი ვალდებულია:**

ა) ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2. **დამკვეთი ვალდებულია:**

ა) გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით;

### 3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3.2. მომსახურების ღირებულებაა ---- (-----) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

3.3. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის N91 დადგენილების შესაბამისად.

3.4. ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ფორმით.

3.5. მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5(ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

3.6. სამუშაოს შესრულება იწყება მისი ღირებულების წინასწარი გადახდის შემდეგ.

3.7. მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დამკვეთს გადაეცემა მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

3.8. გაწეული მომსახურების შედეგების მიუხედავად, დამკვეთის მიერ გადახდილი თანხა უკანდაბრუნებას არ ექვემდებარება.

3.9. მომსახურების დასრულება გაფორმდება უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

### 4. სხვა პირობები

4.1. მხარეები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი და საომარი მდგომარეობა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი ვადით, გარემოებათა დასრულების შემდგომ.

4.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შესრულებული იქნება წერილობით და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

4.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, წერილობით, 2 თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

4.5. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2015 წლის .

## 5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

მიმწოდებელი:

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და  
მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

თბილისი, ჩარგლის ქ. N67

ტელ: 2 61-35-00

ს/კ 200 162 224

მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება-ხაზინის

ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი TRESGE22

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი-

707177053

გენერალური დირექტორი

დირექტორი

-----  
დავით ტყემალაძე

-----